საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 7 18 00980886

06/08/2018

ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
ფაქტ-მეტრის რედაქტორს ბატონ დავით ქუტიძეს
ელ. ფოსტა: irina_gurgenashvili@yahoo.com

ბატონო დავით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N946357; 26.07.2018) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების, ასევე "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად, დანართის სახით წარმოგიდგენთ თქვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას(იხ.მიბმული ფაილი).

ამასთან გაცნობებთ, რომ 2012-2018 წლებში საქართველოს შესაბამისი წლის ბიუჯეტის შესახებ კანონის შესაბამისად სამინისტროსათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში პროფესიული განათლების მიმართულებით გაწეული ფაქტიური ხარჯები შეადგენს:

- 2012 წელი - 9.3 მლნ ლარს;
- 2013 წელი - 13.3 მლნ ლარს;
- 2014 წელი - 23.2 მლნ ლარს;
- 2015 წელი - 33.0 მლნ ლარს;
- 2016 წელი - 33.7 მლნ ლარს;
- 2017 წელი - 36.5 მლნ ლარს;
- 2018 წელი - 43.5 მლნ ლარს (გეგმა).

ასევე წერილის მე-5 და მე-6 პუნქტებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება დასაქმებას, მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილი ტერმინოლოგია არ შეესაბამება პროფესიული განათლების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიერ განსაზღვრულ ტერმინებს. თუმცა, გაცნობებთ, რომ პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი 2014 წლიდან ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა კვლევას. კვლევის ანგარიშები განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. კურსდამთავრებულთა კვლევის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებელი წლების მიხედვით: 2014 წელს - 42%; 2015 წელს - 47%; 2016 წელს - 56%; 2017 წელს - 56.2%-ია.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

დანართი: „01“ ელექტრონული ფაილი

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოხელე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო
უფროსი
მარიამი ძიძიგური

მ. ძიძიგური